

„გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის და „საქართველოს კარიტასის“ ჩართულობით.

დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ნებისმიერი განსხვავებული მიდგომა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

პროგრამის რეკომენდებული სახელწოდება: „გერიატრიული ასისტენტი“

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3.

პროგრამის მოცულობა: არანაკლებ 144 საათისა.

დაშვების წინაპირობა: მინიმალური ასაკი 18 წელი, სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ მიზანია მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები, რაც ითვალისწინებს: მოვლას დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეფექტურ კომუნიკაციას, მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარება მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას. კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს: მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).

მინიმალური სწავლის შედეგები, შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა და სარეკომენდაციო საათობრივი დატვირთვა:

1. მოვლის პრინციპების განმარტება (9 სთ)

დაკვირვება, საყურადღებო მომენტები.

- მდებარეობა საწოლში, სკამზე
- სიარულის მახასიათებლები
- ტკივილის არსებობა
- კანი, გამონაყოფი მასები
- ძილი, მადა

დამოკიდებულების ხარისხის, უძღურების განსაზღვრა

- ბართელის უძღურების შკალა, ADL და IADL ტესტები.

სასიცოცხლო მაჩვენებლების გაზომვა

- წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე
- პულსოქსიმეტრის გამოყენება
- გლუკომეტრის გამოყენება

2. ეფექტური კომუნიკაცია მოვლაში (16 სთ)

კომუნიკაციის პროცესი:

- კომუნიკაციის კულტურული და ასაკობრივი თავისებურებები
- კომუნიკაციის სახეები და არხები
- ეფექტური კომუნიკაციის წესები, ბარიერები, მეთოდები

ზეპირი კომუნიკაციის პროცესი:

- ინფორმაციის გადაცემა/მიღება,
- სწორი ვერბალური კომუნიკაციის ტექნიკა;
- საუბრის დაგეგმვა და წარმართვა;

მოსმენის პროცესი:

- სტადიები, არხები
- ინფორმაციის მიღების, გაგების და დამახსოვრების წესები, ხელისშემშლელი პირობები;

3. გერიატრიული ასაკის თავისებურების განმარტება (13 სთ)

ხშირი გერიატრიული ფიზიოლოგიური ცვლილებები

- სასიცოცხლო მაჩვენებლები
- შეუკავებლობა, კანი
- სიარულის მახასიათებლები, წაქცევა

- ძილი, მადა

ხშირი გერიატრიული პათოლოგიური ცვლილებები

- დემენცია, დეპრესია, დელირიუმი
- რთული/გამომწვევი ქცევა
- მოვლისა და კომუნიკაციის თავისებურებები
- დროული რეაგირება ცვლილებებზე (დახმარების დროული მოხმობა)

4. მოვლითი ღონისძიებების ჩატარება (70 სთ)

პირადი უსაფრთხოების დაცვა მუშაობის დროს:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, დანიშნულება, გამოყენება
- უსაფრთხო მოვლის უზრუნველყოფა
- ერთობლივი მოვლა

რეპოზიციონირება დახმარებით და დახმარების გარეშე

- დახმარება მოძრაობაში სხვადასხვა დონეზე (საწოლი, სავარძელი, სკამი, სიარულია)

სხეულის მოვლა, ჰიგიენური პროცედურები

- სახე, პირის ღრუ, კბილები, თვალები, ცხვირი

ინტიმური სფეროს ჰიგიენა, კომფორტი და პრივატულობა

- საწოლის მოწყობა
- სრული და ნაწილობრივი ჰიგიენური პროცედურები (სხეული დაბანა, თავის დაბანა, შხაპი, საწოლში დაბანა)
- პირადი თეთრეულის შეცვლა

დახმარება გამოყოფის დროს:

- დამხმარე საშუალებების დანიშნულება, მოხმარების წესები, გამოყენება ჰიგიენური დამუშავება.

საკვების და სითხის მიღება:

- დახმარება საკვებისა და სითხის მიღების დროს.

სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები:

- მოტეხილობა, ცალმხრივი დაზიანება, დეპრესია, დემენცია

5. დამოუკიდებლობის შენარჩუნების ხელშეწყობა (15სთ)

პაციენტის მოვლის უსაფრთხოების წესები:

- მოვლის დამხმარე და ტექნიკური საშუალებები. (ეტლი, ხელჯოხი, ყავარჯენი: ილლიის, იდაყვის, ჭოჭიალა).
- დანიშნულება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გათვალისწინებით გამოყენება შენობაში, ქუჩაში.

6. პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება (21 სთ)

არასწორი მოვლის გართულებები

- ნაწოლი, ყაზობა, პნევმონია, კონტრაქტურა, თრომბოზი, სოკოვანი დაავადება, ინტერტრიგო, დაცემა, ცისტიტი

პროფილაქტიკური ღონისძიებები

- სწორი წოლითი პოზიციების შერჩევა
- სხვადასხვა ტიპის ვარჯიშები (იზომეტრიული, იზოტონიური, სუნთქვითი)
- გადაადგილებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა